ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482312240**
თარიღი: **02/05/2023**

ადრესატი: ანა მაღლაკელიძე
პირადი ნომერი: 01017051105
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის 107

მოქალაქე ანა მაღლაკელიძეს

ქალბატონო ანა,

თქვენი მიმდინარე წლის 20 აპრილის N N:19/482310125-01 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას. შიდა აუდიტი წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას, რომ დაწესებულების შიგნით არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების მართვა ეფექტურად ხორციელდება. დაწესებულებაში შიდა აუდიტს ახორციელებს შიდა აუდიტის სუბიექტი, რომელიც შექმნილია დაწესებულების შიგნით და გააჩნია დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხი. შიდა აუდიტის განხორციელების შედეგად შიდა აუდიტის სუბიექტი ადგენს შიდა აუდიტორულ ანგარიშს, (და არა დასკვნას, როგორც წერილშია მითითებული), რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს, შიდა აუდიტის განხორციელების პროცესსა და მიგნებებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს.

შიდა აუდიტორული ანგარიშის მიზანს წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელობას (ჩვენს შემთხვევაში მერს) მიეწოდოს/ეცნობოს დაწესებულების სისტემაში შემავალი ორგანიზაციების, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი და ობიექტური ინფორმაცია.

აქედან გამომდინარე, რადგან შიდა აუდიტის სამსახური არ არის სარევიზიო ან/და მაკონტროლებელი სამსახური და შესაბამისად, მის მიერ მომზადებული ანგარიშები არის საკონსულტაციო, ის არის შიდა მოხმარების სარეკომენდაციო პროდუქტი, ამიტომ ის არ წარმოადგენს საჯარო ინტერესის შემცველ დოკუმენტს. გარდა ამისა, შიდა აუდიტის ანგარიშები შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის

თანახმად, ვერ განხორციელდება 2019-2023 წლებში შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული აუდიტორული ანგარიშების გასაჯაროვება. თუმცა, წარმოგიდგენთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2019-2022 წლებში მომზადებული აუდიტორული ანგარიშების ან/და ინსპექტირების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესახებ ინფორმაციას.

დანართი 22 ფურცელი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge